

**ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს წერილობითი მოსაზრება (შუამდგომლობა)
ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტსა და ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტს
შორის ადმინისტრაციული საზღვრების შეცვლის შესახებ**

2019 წლის .. მარტი
ქალაქი ბათუმი

აღსანიშნავია, რომ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულომ წერილობით მომართა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციული საზღვრების შეცვლის თაობაზე, იმ მოტივით, რომ 2011 წელს ამ ორ მუნიციპალიტეტს შორის განხორციელებული ადმინისტრაციული საზღვრების შეცვლის შედეგად ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საზღვრებში მოექცა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის დაბა, ასევე მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრი, ხოლო საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად აუცილებელია, რომ მუნიციპალიტეტს ჰქონდეს ადმინისტრაციული ცენტრი. შესაბამისად, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციული საზღვრის შეცვლის მიზნით განახორციელა კანონმდებლობით გათვალისწინებული მოსამზადებელი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ღონისძიებები, კერძოდ მოამზადა ახალი ადმინისტრაციული საზღვრების სქემატური რუკა და საზღვრების აღწერა, რომლის მიხედვითაც ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში გადადის ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული საზღვრის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილი, რომელიც მოქცეულია ფრიდონ ხალვაშის გამზირსა, გრიგოლ რობაქიძისა და ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილის ქუჩებს შორის. ადმინისტრაციული საზღვრების შეცვლის შედეგად ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საზღვრის შემცირების ხარჯზე ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული საზღვრები ფართოვდება $555\ 482.0\ m^2$ ფართობით, რომლის პერიმეტრი 3089.0 გრძ/მეტრი.

გარდა ამისა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულომ უზრუნველყო ადმინისტრაციული საზღვრის შეცვლის საკითხთან დაკავშირებით მოსახლეობასთან კონსულტაციის გამართვა, კერძოდ სულ გამოიკითხა 246 მოქალაქე, რომლებიც უშუალოდ ცხოვრობენ და რეგისტრირებულნი არიან იმ ტერიტორიაზე, რომელიც ადმინისტრაციული საზღვრის შეცვლის შედეგად ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტიდან გადავა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში. გამოკითხულთა 91.463414% თანახმა ადმინისტრაციული საზღვრის შეცვლაზე.

დასახელებული ადმინისტრაციული საზღვრის შეცვლის საკითხთან დაკავშირებით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოში წარმოდგენილია ასევე ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს - მერის დადებითი წერილობითი პოზიცია.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიაჩნია, რომ არსებობს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის და ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული საზღვრის შეცვლის ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძველი და შესაბამისად ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო თანახმა მოხდეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტსა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტს შორის ადმინისტრაციული საზღვრის შეცვლა.

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის (მათ შორის ი/მ მირიან თაფლაძის მიერ 10.09.2018 წელს მომზადებული ადმინისტრაციული საზღვრის სქემატური რუკის (გადასაცემი ფართობი $555\ 482.0\ m^2$; პარამეტრი 3089 გრძ/მეტრი)) შესაბამისად.

ეთხოვოს, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯომარეს შესაბამისი შუამდგომლობის სამთავრობო კომისიისათვის წარდგენა.



საქართველო

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა
ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის
საკრებულო

GEORGIA

AUTONOMOUS REPUBLIC OF AJARA
SAKREBULO OF BATUMI CITY
MUNICIPALITY



N 545-12
09/10/2018

545-12-2-201810091640



ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერს
ბატონ ლაშა კომახიძეს

ასლი: ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს
(მისამართი: ქ. ბათუმი, დიდაჭარის ქ.№23)

ბატონი ლაშა,

გეგზავნებათ, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შემოსული ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კორესპონდენცია (№11/578; 05.10.2018წ.) ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტსა და ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტს შორის ადმინისტრაციული საზღვრების შეცვლის თაობაზე.

დანართი: 10 (ათი) ფურცელი; რუკა ხელზე მიტანით.

სულიკო თებიძე

საკრებულოს თავმჯდომარე

ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო



საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა
ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ქ. ბათუმი, დიდაჭარის ქ. №23
 ტელ: (0422) 25-91-00

N 06/272
 02/10/2018

272-06-2-201810021724



**ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის
 საკრებულოს თავმჯდომარეს
 სულიერი თემისების**

მატობო სულიერი,

რამდენადაც თქვენთვის ცნობილია, 2011 წელს განხორციელდა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტსა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტს შორის საზღვრების ცვლილების მეორე ეტაპი, აღნიშნული ცვლილების შედეგად ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საზღვრებში მოექცა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის დაბა, ასევე მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრი. ხოლო, საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს მე-2 მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად აუცილებელია მუნიციპალიტეტს ჰქონდეს ადმინისტრაციული ცენტრი.

მიმდინარე წელს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ შეიქმნა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული საზღვრების შეცვლის შესახებ შუამდგომლობის მომზადების ორგანიზებისათვის დროებითი სამუშაო ჯგუფი. აღნიშნულ სამუშაო ჯგუფის მუშაობაში მონაწილეობდა ქალაქ ბათუმის სამრეწველო ადმინისტრაციულ ერთეულები მერიის წარმომადგენელი. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, დაგეგმილია ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტსა და ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტს შორის ადმინისტრაციული საზღვრების შეცვლა. რომლის მიხედვით ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში უნდა მოექცეს ამჟამამინდელი ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საზღვრებში არსებული ტერიტორიის გარკვეული ნაწილი. ამ მიზნით ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მომზადებული იქნა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში შემოსაერთებული ტერიტორიის საზღვრების დემარკაციის რუკა (მასშტაბი: 1:2500) ანუ შემოსაერთებული ტერიტორიების გრაფიკული ნაწილი და საზღვრების აღწერა. რომლის მიხედვით ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის გაზრდა გათვალისწინებულია ერთ ნაწილში - ქ. ბათუმის ადმინისტრაციული საზღვრის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, რომელიც მოქცეულია ფრიდონ ხალვაშის გამზირსა, გრიგოლ რობაქიძისა და ზაზა ფანასკერტელ-

ქ. ბათუმი, სამუშაო სამსახური
 სამსახურის დეპარტამენტი
 2018 წლის 10 თებერვალი
 № 11/678
 05 " თემის მიერ მიმდინარე

ციციშვილის ქუჩებს შორის, ფართობი 555 482.0 მ², პერიმეტრი 3089.0 გრძ/მეტრი. აღნიშნულის შესაბამისად ასევე მომზადდა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ახალი საზღვრების სქემატური რუკა (მასშტაბი: 1 სმ=1კმ) და საზღვრების აღწერა.

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს მ-11 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად საქართველოს მთავრობა უფლებამოსილია ამ კანონით დადგენილი წესით, საკუთარი ინიციატივით, მუნიციპალიტეტების საკრებულოებთან და მოსახლეობასთან კონსულტაციის საფუძველზე ან მუნიციპალიტეტის (მუნიციპალიტეტების) საკრებულოს (საკრებულოების) შუამდგომლობითა და შესაბამისი მუნიციპალიტეტის (მუნიციპალიტეტების) მოსახლეობასთან კონსულტაციის საფუძველზე საქართველოს პარლამენტს მიმართოს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული საზღვრების შეცვლის შესახებ წარდგინებით. ამავე მუხლის შეორე ნაწილის შესაბამისად მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული საზღვრების შეცვლის შესახებ მუნიციპალიტეტის (მუნიციპალიტეტების) საკრებულოს (საკრებულოების) შუამდგომლობა წარედგინება შესაბამის სამთავრობო კომისიას. შუამდგომლობას უნდა დაერთოს:

- მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული საზღვრების შეცვლის საჭიროების დასაბუთება;
- მუნიციპალიტეტის ახალი ადმინისტრაციული საზღვრები და სქემატური რუკა;
- მუნიციპალიტეტის (მუნიციპალიტეტების) მოსახლეობასთან გამართული კონსულტაციის ამსახველი დოკუმენტები;
- ამ კანონის მე-12 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გაფორმებული მუნიციპალიტეტის საკრებულოს წერილობითი მოსაზრება.

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მომზადებულ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში შემოსაერთებელი ტერიტორიის საზღვრების დემარკაციის რუკის (მასშტაბი: 1:2500) შესაბამისად ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტსა და ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტს შორის ადმინისტრაციულ საზღვრების შეცვლასთან დაკავშირებით ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამუშაო ჯგუფის წევრების მიერ მოხდა იმ პირების გამოკითხვა, რომლებიც რეგისტრირებული არიან და ცხოვრობენ საზღვრების შეცვლის შედეგად ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მოსაქცევ ტერიტორიაზე. ხულ გამოკითხა 246 პირი. აქედან: 225 თანახმაა მოხდეს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მომზადებული ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში შემოსაერთებელი ტერიტორიის საზღვრების დემარკაციის რუკის (მასშტაბი: 1:2500) შესაბამისად ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტსა და ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტს შორის ადმინისტრაციული საზღვრების შეცვლა. 08 თავი შეიკავა საკუთარი აზრის გამოხატვისგან, ხოლო 13 პირი წინააღმდეგია ადმინისტრაციული საზღვრების შეცვლაზე. ანუ გამოკითხულთა 91.463414 % თანახმაა ადმინისტრაციული საზღვრების შეცვლაზე, 3.252032 % თავი შეიკავა საკუთარი აზრის დაფიქსირებისაგან, ხოლო 5.284552 % წინააღმდეგია.

კანონმდებლობისა და მოსახლეობის გამოკითხვის შედეგების გათვალისწინებით ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიაჩნია. რომ არსებობს საფუძველი, მოხდეს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მომზადებული ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში შემოსაერთებელი ტერიტორიის საზღვრების დემარკაციის რუკის

(მასშტაბი: 1:2500) შესაბამისად ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტსა და ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტს შორის ადმინისტრაციული საზღვრების შეცვლის საკითხის განხილვა და გადაწყვეტილების მიღება.

გაცნობებთ, რომ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ აღნიშნული საკითხი განხილული იქნა 2018 წლის 28 სექტემბრის საკრებულოს სხდომაზე და საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 11-ე მუხლის მეორე ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად გაფორმებული იქნა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წერილობითი მოსაზრება (დადებითი გადაწყვეტილება). ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში შემოსაერთებელი ტერიტორიის საზღვრების დემარკაციის რუკის (მასშტაბი: 1:2500) შესაბამისად ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტსა და ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტს შორის ადმინისტრაციული საზღვრების შეცვლის შუამდგომლობით სამთავრობო კომისიაზე მიმართვისათვის აუცილებელია აღნიშნულ საკითხზე ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გადაწყვეტილება.

გთხოვთ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განხილოთ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის შერიის მიერ მომზადებული ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში შემოსაერთებელი ტერიტორიის საზღვრების დემარკაციის რუკის (მასშტაბი: 1:2500) შესაბამისად ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტსა და ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტს შორის ადმინისტრაციული საზღვრების შეცვლის საკითხი.

დანართი: ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 სექტემბრის №10 სხდომის ოქმის დამოწმებული ასლი დანართი მასალებით - 09 ფურცელი.

ნადიმ ვარშანიძე

საკრებულოს თავმჯდომარე
ხელმძღვანელობა

6.3.2018

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ოქთი N10

28. 09. 2018წ

სხდომა დაიწყო: 12 სთ-ზე

სხდომას თავმჯდომარეობდა:

ნადიმ ვარშანიძე

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 22-მა წევრმა.

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი-მირზა ბახტაძე, მუნიციპალიტეტის მერიის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ქონების მართვის განყოფილების უფროსი-ანა ბაჟაშვილი, მუნიციპალიტეტის მერიის მეორადი სტრუქტურული ერთეულის სოფლის მეურნეობის განყოფილების უფროსი-თამაზ ხაბაძე, მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის აპარატის უფროსის მ/შემსრულებელი-ნარგიზ ბერიძე, მუნიციპალიტეტის საკრებულოს მეორადი სტრუქტურული ერთეულის იურიდიული განყოფილების უფროსს მ/შემსრულებელი-ირმა აბაშიძე, მუნიციპალიტეტის საკრებულოს მეორადი სტრუქტურული ერთეულის საქმისწარმოების განყოფილების უფროსის მ/შემსრულებელი-ნინო ფარტენაძე, მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის საქმისწარმოების განყოფილების უფროსი სპეციალისტი მასმედიასა და საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში-ზაირა ჯიბლაძე, მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის უფროსი სპეციალისტი საქმისწარმოებისა და საორგანიზაციო საკითხებში-სოფიკო საფარიძე, მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის უფროსი სპეციალისტი საქმისწარმოებისა და საორგანიზაციო საკითხებში-მალვინა ჯიბლაძე, მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტისა და სოციალურ საკითხთა კომისიის ექსპერტ-კონსულტანტი-სოფიკო ჯინჭველაშვილი, მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო და კონიმიკურ საკითხთა კომისიის ექსპერტ-კონსულტანტი-გიული მხეიძე, ვლადიმერ მიქელაძე-შპს „ხელვაჩაურის წყალკანალი“-ს დირექტორი. პრესისა და ტელევიზიის წარმომადგენლები.

საკრებულოს წევრებმა კენჭი უფარეს აღნიშნულ დღის წესრიგს.

კენჭისკრას შედეგი: მომხრე 22 წინააღმდეგი 0

დღის წესრიგი

1. დადგენილების პროექტი-„ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო და კონიმიკურ საკითხთა კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 26 აგვისტოს #19 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: მინოვა დიასამიძე-
ხელვაჩაურის მ/შემუნიციპალიტეტის
საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო და
კონიმიკურ საკითხთა კომისიის
თავმჯდომარე

2.შუამდგომლობა-„ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტსა და თვითმმართველ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტს შორის ადმინისტრაციული საზღვრების შეცვლის შესახებ სამთავრობო კომისიისათვის წარდგინების შესახებ“.

მომხსენებელი: ნადიმ ვარშანიძე-
ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

თანამომხსენებელი: ვახტანგ
ლორთქიფანიძე ხელვაჩაურის
მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა
კომისიის თავმჯდომარე

3. განკარგულების პროექტი-„ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ეკონომიკის, ქონების მართვის, სოფლის მეურნეობისა და შესყიდვების სამსახურის მიერ განსახორციელებელი მიზნობრივი პროგრამის დამტკიცების „შესახებ“ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 მარტის #22 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: თამაზ ხაბაძე-
ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის
მეორადი სტრუქტურული ერთეულის
სოფლის მეურნეობის განყოფილების
უფროსი

4. განკარგულების პროექტი-„საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის #02 განკარგულებაში დამატების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: ანა ბაჟაშვილი-
ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის
მეორადი სტრუქტურული ერთეულის
ქონების მართვის განყოფილების უფროსი

5. განკარგულების პროექტი-„მუნიციპალური ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“.

მომხსენებელი: ანა ბაჟაშვილი-
ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის
მეორადი სტრუქტურული ერთეულის
ქონების მართვის განყოფილების უფროსი

6. სხვადასხვა

1. მოისმინეს: დადგენილების პროექტი-„ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 26 აგვისტოს #19 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელმა მინდია დიასამიძემ საკრებულოს წევრებს განუმარტა, რომ დებულებაში ცვლილება განხორციელდა საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში“, სადაც ტერმინი „გამგებელი/გამგეობა“ შეიცვალა ტერმინით „მერი/მერია“. ასევე მიღებული იქნა ახალი რეგლამენტი. აქედან გამომდინარე, დადგა საჭიროება მოხდეს აღნიშნული დადგენილების მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანა.

საკრებულოს წევრებმა კენჭი უყარეს აღნიშნულ საკითხს.

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 22 წინააღმდეგი 0

დაადგინეს: საკრებულოს მიერ დამტკიცებული იქნას საკითხი-„ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 26 აგვისტოს #19 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

2.შუამდგომლობა-„ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტსა და თვითმმართველ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტს შორის ადმინისტრაციული საზღვრების შეცვლის შესახებ სამთავრობო კომისიისათვის წარდგინების შესახებ“.

მომხსენებელმა ნადიმ ვარშანიძემ საკრებულოს წევრებს განუმარტა, რომ ხელვაჩაურის მუნიციპიალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის #01 განკარგულებით შეიქმნა ხელვაჩაურის მუნიციპიალიტეტის ადმინისტრაციული საზღვრების შეცვლის შესახებ შუამდგომლობის მომზადების ორგანიზებისათვის დროებითი სამუშაო ჯგუფი. აღნიშნული დროებითი სამუშაო ჯგუფის მიერ ჩატარებული იქნა საქართველოს კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-თ გათვალისწინებული პროცედურები, კერძოდ, დროებითი სამუშაო ჯგუფის მიერ განისაზღვრა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტისათვის შემოსაერთობების ტერიტორია, ჩართული იქნა თვითმმართველი ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია. სამუშაო ჯგუფის მიერ შესწავლილი იქნა შემოსაერთობელ ტერიტორიაზე მცხოვრებ პირთა სოციალური მდგომარეობა. ეთხოვა ხელვაჩაურის მერიას კარტოგრაფიული რუკების შედეგენა. პარალელურ რეჟიმში დროებითი სამუშაო ჯგუფის მიერ გამოიკითხა შემოსაერთობელ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობა. გამოკითხული იქნა 246 პირი, რომელთაგან მომხრე იყო 225, წინააღმდეგი 13, ხოლო 8 გამოკითხულმა თავი შეიკავა.

თანამომხსენებელმა ვახტანგ ლორთქიფანიძემ კი განმარტა, რომ საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 11-ე მუხლის შესაბამისად საკითხი შემოტანილია საკრებულოს სხდომაზე განსახილველად, რათა მოხდეს სამთავრობო კომისიისათვის საკრებულოს წერილობითი მოსაზრების წარდგენა, რის საფუძველზეც მოხდება ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტსა და თვითმმართველ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტს შორის ადმინისტრაციული საზღვრების შეცვლის მიზანით. ადმინისტრაციული საზღვრების შეცვლა.

საკრებულოს წევრებმა კენჭი უყარეს აღნიშნულ საკითხს.

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 22 წინააღმდეგი 0

დაადგინეს: შუამდგომლობა-„ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტსა და თვითმმართველ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტს შორის ადმინისტრაციული საზღვრების შეცვლის შესახებ სამთავრობო კომისიისათვის წარდგინების შესახებ“ გადაეგზავნოს სამთავრობო კომისიას შემდგომი რეაგირებისათვის.

3.მოისმინეს: განკარგულების პროექტი-„ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიაზე პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ეკონომიკის, ქონების მართვის, სოფლის მეურნეობისა და შესყიდვების სამსახურის მიერ განსახორციელებელი მიზნობრივი პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 მარტის #22 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელმა თამაზ ხაბაძემ საკრებულოს წევრებს განუმარტა, რომ პროგრამის მიზანია მაღალმწარმოებლური ტექნიკული გამოყენების გამოყენებით სასათბურე სექტორის განვითარება, ფერმერულ მეურნეობებში საადრეო ბოსტნეული კულტურების წარმოების ხელშეწყობა, მოსახლეობის შემოხავლების ზრდა და სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის ხელშეწყობა. აღნიშნა, რომ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში სოფლის მეურნეობის ტრადიციულ დარგებს წარმოადგინდა მეჩაიერობა და მეციტრუსეობა. ამჟამად მეჩაიერობის ინფრასტრუქტურა ძირეულად მოშლილია და სოფლად მცხოვრები მოსახლეობის დიდი ნაწილის საოჯახო მეურნეობები თრიენტირებულია მხოლოდ არარენტაბელურ, პირადი საჭიროებების დასაკმაყოფილებლად აუცილებელი პროდუქციის წარმოებაზე. შესაბამისად მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში მებოსტნეობის დარგში. დახურული გრუნტის კიდევ უფრო განვითარება და ბოსტნეული კულტურების არასეზონური წარმოების ხელშეწყობა, რისთვისაც აუცილებელია სასათბურე კონსტრუქციებით უზრუნველყოფილი ბენეფიციარებისათვის სათბურის საძირკვლის მოწყობის ხელშეწყობა, რომლითაც ხელი შეეწყობა ბენეფიციარს სათბურის მოწყობაზე. რაც შემდგომში გაზრდის მათ ფინანსურ შემოსავლებს. ხოლო რაც შეეხება განკარგულების არსები ცვლილების შინაარსი კი მდგომარეობს შემდეგში. რომ აღნიშნული განკარგულებით პროგრამაზე პასუხისმგებელი ორგანო-ეკონომიკის, ქონების მართვის. სოფლის მეურნეობისა და შესყიდვების სამსახური ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში სტრუქტურული ცვლილებების პერიოდში, რეორგანიზაციის შედეგად ჩამოყალიბდა შემდეგნაირად: „ბუნებრივი რესურსებისა და აგრარულ საკითხთა სამსახური.“ აქედან გამომდინარე, აღნიშნულ მიზნობრივ პროგრამაზე პასუხისმგებელ ორგანოდ უნდა განისაზღვროს -ბუნებრივი რესურსებისა და აგრარულ საკითხთა სამსახური.

ცვლილება განხორციელდა აგრეთვე იმაშიც, რომ მიზნობრივი პროგრამის ზოუჯეტის ნაწილში, კერძოდ, სასათბურე საძირკვლის მოწყობისათვის გასაწევ ხარჯებში-200კვ.მ. სასათბურე საძირკვლის მოწყობა, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში მიზანშეწონილად მიზნია დაფინანსება განხორციელოს არა 200კვ.მ. სათბურის მოწყობაზე, არამედ გრძივი მეტრის საძირკვლის მოწყობაზე. შესაბამისად შეიცვალოს აღნიშნული ჩანაწერი და მიზნობრივი პროგრამით დაფინანსება გაეწიოს ბენეფიციარებს ლურტური საძირკვლის გრძივი მეტრის მოწყობაზე.

საკრებულოს წევრებმა კენჭი უყარეს აღნიშნულ საკითხს.

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 22 წინააღმდეგი 0

დაადგინეს: საკრებულოს მიერ დამტკიცებული იქნას საკითხი - „ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ეკონომიკის, ქონების მართვის, სოფლის მეურნეობისა და შესყიდვების სამსახურის მიერ განსახორციელებელი მიზნობრივი პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 მარტის #22 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

4. მოისმინეს: განკარგულების პროექტი-„საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის #02 განკარგულებაში დამატების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელმა ანა ბაჟაშვილმა საკრებულოს წევრებს განუმარტა, რომ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საპრივატიზებოდ შერჩეული იქნა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ერთი ობიექტი-სოფელ ორთაბათუმში 83კვ.მ. მიწის ფართი.

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების საპრივატიზებო ობიექტების ნუსხაზე მიტკიცებს შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის წარმომადგენლობითი ორგანიზაციულობის მუნიციპალიტეტში საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის #02 განკარგულებით დამტკიცებული იქნა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზებო ობიექტების ნუსხა. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად წარმოდგენილი პროექტით გათვალისწინებულია დამატების შეტანა აღნიშნულ განკარგულებაში.

საკრებულოს წევრებმა კენჭი უყარეს აღნიშნულ საკითხს.

კენჭის შედეგი: მომხრე 22 წინააღმდეგი 0

დადგინდება: საკრებულოს მიერ დამტკიცებული იქნას საკითხი-„საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის #02 განკარგულებაში დამატების შეტანის თაობაზე.

5. მოისმინდება: განკარგულების პროექტი-„მუნიციპალური ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“.

მომხსენებელმა ანა ბაჟაშვილმა საკრებულოს წევრებს განუმარტა. რომ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ი“ ქვეპუნქტის შესაბამისად მერი საკრებულოს დასამტკიცებლად წარუდგენს მუნიციპალური ქონების პრივატიზაციის გეგმას. დღეის მდგომარეობით ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ შერჩეული იქნა ერთი ობიექტი-სოფელ ორთაბათუმში 83კვ.მ. მიწის ფართი, რომელიც შეტანილი იქნა საპრივატიზებო ნუსხაში, რის შემდგომაც შემუშავდა მუნიციპალური ქონების პრივატიზაციის გეგმა.

საკრებულოს წევრებმა კენჭი უყარეს აღნიშნულ საკითხს.

კენჭის შედეგი: მომხრე 22 წინააღმდეგი 0

დადგინდება: საკრებულოს მიერ დამტკიცებული იქნას საკითხი-„მუნიციპალური ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“.

6. სხვადასხვა

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარე

ნ. ვორშანიძე



თვითმმართველ ქალაქ ბათუმსა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტს შორის
ადმინისტრაციული საზღვრების შეცვლის მიზნით თვითმმართველი ხელვაჩაურის
მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მოსაქცევი ტერიტორიის

ს ა ზ ღ ვ რ ი ს ა ღ წ ე რ ა

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტისათვის გადმოსაცემი ტერიტორია მდებარეობს ქ.
ბათუმის ადმინისტრაციული საზღვრის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, რომელიც
მოქცეულია ფრიდონ ხალვაშის გამზირსა, გრიგოლ რობაქიძისა და ზაზა ფანასკერტელ-
ციციშვილის ქუჩებს შორის, ფართობი 555 482.0 მ², პერიმეტრი 3089.0 გრძ/მეტრი.

ქ. ბათუმის არსებული ადმინისტრაციული საზღვრის №0 წერტილი, რომლის
კოორდინატებია: X - 221972,975; Y - 4608115.162, მდებარეობს ქ. ბათუმის არსებული
ადმინისტრაციული საზღვრის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, ფრიდონ ხალვაშის
გამზირისა და გრიგოლ რობაქიძის ქუჩის გადაკვეთაზე. ამ წერტილიდან საზღვარი
მიემართება ფრიდონ ხალვაშის გამზირის გასწვრიმ ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილის
ქუჩის გადაკვეთამდე (აღნიშნულ კვეთაზე მდებარეობს დაცვის პოლიციის შენობა) 1186
მეტრ მანძილზე №8 წერტილამდე, რომლის კოორდინატებია: X - 221132.976; Y -
4608817.436.

შემდეგ საზღვარი მიემართება ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით, ზაზა ფანასკერტელ-
ციციშვილის ქუჩის გასწვრივ გრიგოლ რობაქიძის ქუჩის გადაკვეთამდე (აღნიშნულ
კვეთაზე მდებარეობს მეჩეთი) 785 მეტრ მანძილზე №14 წერტილამდე, რომლის
კოორდინატებია: X - 221828.413; Y - 4609177.185.

N14 წერტილიდან საზღვარი მიუყვება სამხრეთით, გრიგოლ რობაქიძის ქუჩის
გაწვრივ, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საზღვარზე 1118 მეტრ მანძილზე, ფრიდონ
ხალვაშის გამზირის კვეთამდე №40 წერტილში, რომლის კოორდინატებია: X -
22190.423; Y - 4608122.578.

აღნიშნულ ტერიტორიაზე მოქცეულია:

1. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული შენობა.
2. ხელვაჩაურის კულტურის სახლი.
3. ხელვაჩაურის პოლიციის შენობა.
4. ხელვაჩაურის საპასპორტო/საჯარო რეესტრის შენობა.
5. ხელვაჩაურის სახანძრო-სამაშველოს სამსახურის შენობა.
6. ხელვაჩაურის ფოსტა.
7. ხელვაჩაურის 2 საბავშვო ბაღი.
8. ქალაქ ბათუმის საბავშვო ბაღი.

ასევე მოქცეულია ინდივიდუალური და მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლები,
ციტრუსის ბაღები და სახნავ/სათესი მიწის ნაკვეთები.

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული საზღვრების

ა ღ წ ე რ ა

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებს ჩრდილო-დასავლეთის მხრიდან ესაზღვრება ქალაქი ბათუმი, (სარფის, ჭარნალის, შარაბიძეების, ფერის, ორთაბათუმისა და მახინჯაურის თემის საზღვრებზე); ჩრდილოეთის მხრიდან ესაზღვრება ქობულეთის მუნიციპალიტეტი (მახინჯაურისა და ორთაბათუმის თემის საზღვრებზე); აღმოსავლეთის მხრიდან ესაზღვრება ქედის მუნიციპალიტეტი (შარაბიძეების, აჭარისწყალისა და მაჭახლის თემის საზღვრებზე); სამხრეთის მონადან ესაზღვრება თურქეთის რესპუბლიკა (სარფის, კირნათისა და მაჭახლის თემის საზღვრებზე).

საერთო ფართობი 367 667 223,0 მ², საერთო პერიმეტრი 50372,0 გრძ/მეტრი.

ი.მ. „მირიან თაფლაძე”



მ. თაფლაძე

შუამდგომლობა

(ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტსა და თვითმმართველ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტს შორის
ადმინისტრაციული საზღვრების შეცვლის შესახებ სამთავრობო კომისიისათვის წარდგინების შესახებ)

როგორც მოგეხსენებათ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18
იანვრის №01 განკარგულებით შეიქმნა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული
საზღვრების შეცვლის შესახებ შუამდგომლობის მომზადების ორგანიზებისათვის დროებითი
სამუშაო ჯგუფი. აღნიშნული დროებითი სამუშაო ჯგუფის მიერ ჩატარებულ იქნა
საქართველოს კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-თ გათვალისწინებული
პროცედურები, კერძოდ: დროებითი სამუშაო ჯგუფის მიერ განისაზღვრა ხელვაჩაურის
მუნიციპალიტეტისათვის შემოსაერთებელი ტერიტორია, ჩართული იქნა თვითმმართველი
ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია. სამუშაო ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა
შემოსაერთებელ ტერიტორიაზე მცხოვრებ პირთა სოციალური მდგომარეობა. ასევე, ეთხოვა
ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიას კარტოგრაფიული რუკების შედგენა. პარალელურ
რეჟიმში დროებითი სამუშაო ჯგუფის მიერ გამოიკითხა შემოსაერთებელი ტერიტორიაზე
მცხოვრები მოსახლეობა. გამოკითხულ იქნა 246 პირი, რომელთაგანაც მომხრე იყო 225,
წინააღმდეგი 13 ხოლო თავი შეიკავა 8 გამოკითულმა.

ტექნიკური მიზეზების გამო ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018
წლის 26 ივლისის №50 განკარგულებით კვლავ შეიქმნა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის
ადმინისტრაციული საზღვრების შეცვლის შესახებ შუამდგომლობის მომზადების
ორგანიზებისათვის დროებითი სამუშაო ჯგუფი იმავე შემადგენლობით. სამუშაო ჯგუფის
მიერ სრულად განხორციელდა კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურები.

საქართველოს კანონი „ადგილობრივი თითმმართველობის კოდექსი“-ს 11-ე მუხლის
მუხლის შესაბამისად საკრებულოს სხდომაზე წარმოგიდგენთ საკითხს გასახილველად, რათა
მოხდეს სამთავრობო კომისიისათვის საკრებულოს წერილობითი მოსაზრების წარდგენა,
რის საფუძველზეც მოხდება ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტსა და თვითმმართველ ქალაქ
ბათუმის მუნიციპალიტეტს შორის ადმინისტრაციული საზღვრის შეცვლა.



**ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული საზღვრების
შეცვლის შესახებ დროებითი სამუშაო ჯგუფის
სხდომის ოქმი №1**

ქ.ბათუმი

28.02.2018 წ.

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული საზღვრების შეცვლის შესახებ დროებით სამუშაო ჯგუფის სხდომას თავმჯდომარეობდა ნადიმ ვარშანიძე - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული საზღვრების შეცვლის შესახებ დროებითი სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე. სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: მინდია დიდმანიძე, ვახტანგ ლორთქიფანიძე, ზვიად ხალვაში, იოსებ ბოლქვაძე, მინდია დიასამიძე, ლევან ლორთქიფანიძე, მურად გორგაძე, ანა ბაჟაშვილი.

დროებითი სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარემ ნადიმ ვარშანიძემ მოახსენა კომისიის წევრებს, რომ ადმინისტრაციული საზღვრების შეცვლის შესახებ ტერიტორების დაკონკრეტების თაობაზე ემუშავათ. აღნიშნულთან დაკავშირებით კომისია შეთანხმდა, რომ ადგილზე მომხდარიყო იმ ტერიტორის დათვალიერება რომლის უკან დაბრუნებაც იგეგმებოდა. კომისიის მიერ 2018 წლის 22 თებერვალს მოხდა აღნიშნული ტერიტორიების ადგილზე დათავლიერება და დადგინდა შემდეგი: ემუშავათ ორ ვერსიაზე, რომელიც შეეხებოდა სამრეწველო ზონას ეს არის დაბის ტერიტორია მახვილაურის გადასახვევიდან ოცნების ქალაქის მარცხენა მხარეს ოპიზრების ქუჩის გავლით მდინარე ჭოროხის სანაპირომდე და მეორე იყო ხელვაჩაურის პოლიციის გადასახვევიდან თამარ მეფის გამზირის გავლით ზემოთ არსებული ტერიტორიები მარჯვენა მხარეს. სამუშაო ჯგუფის მიერ მოხდა შეთანხმება მეორე ვარიანტზე. აღნიშნული ცვლილებით, ძირითადად ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტს დაუბრუნდება ის ტერიტორიები, რომლის გადაცემაც მოხდა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტზე. ძირითადი აქცენტი გაკეთდა ადმინისტრაციული ცენტრის არარსებობაზე. სამუშაო ჯგუფის მუშაობა მიმდინარებოდა დღეს არსებული რუკით და ძველი გადაცემამდე არსებული მონახაზებით და რუკებით. სხდომის თავმჯდომარემ - ნადიმ ვარშანიძემ სქემატური რუკის მომზადება დაავალა უმოკლეს ვადებში სამუშაო ჯგუფის წევრს ანა ბაჟაშვილს და ზვიად ხალვაშს, ასევე სამუშაო ჯგუფის მიერ სხდომაზე აღინიშნა, რომ მომხდარიყო დაზუსტება და გარკვევა თუ რა პროგრამებით სარგებლობდა აღნიშნულ ტერიტორიაზე მცხოვრები მოქალაქეები და რა პრივილეგიები ექნებოდათ მათ არსებული დაგეგმილი ცვლილებებით.

ასევე სამუშაო ჯგუფის მიერ აღინიშნა რომ ერთობლივი ჯგუფები უნდა შეიქმნას ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებთან ერთად. აღნიშნულთან



წევრები: ნადიმ ვარშანიძე; მინდია დიდმანიძე; თეიმურაზ დუმბაძე; ლევა
ლორთიფანიძე და ოთარ კახაძე.

მეორე ჯგუფის ხელმძღვანელი - იოსებ ბოლქვაძე

წევრები: ზვიად ხალვაში; მინდია დიასამიძე; ანა ბაჟაშვილი; მურადი გორგაძე
და ოთარ კახაძე.

კომისიის სხდომაზე ერთობლივად მოხდა საბოლოო შეთანხმება იმ
ტერიტორიაზე რომელიც ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ
საზღვრებში მოექცევა აღნიშნული ცვლილებით რაც დატანილია სამუშაო რუკაზე
და მოიცავს თამარ მეფის გადასახვევიდან არსებულ მარჯვენა მხარეს მდებარე
ტერიტორიას რობაქიძის ქუჩის ჩათვლით ე.წ „ნაძვნარის“დასახლებამდე.

